საიდ. №71864/03

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №126-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპა-ტენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: მ. ფრუიძე (თავმჯდომარე), ლ. ახობაძე, ლ. კერესელიძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანიის „პიერ ბალმენ ს.ა.” (Pierre Balmain S.A.) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №126-03/14), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 16 მაისის სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ №556/03 ბრძანების ბათილად ცნობა და სასაქონლო ნიშნის „BALMAIN” (საიდ. №71864/03) დარეგისტრირება მე-9 კლასის საქონლის შემდეგი ჩამონათვალის მიმართ: „სამეცნიერო, საზღვაო, გეოდეზიური, ფოტოგრაფიული, კინემატოგრაფიული, ოპტიკური, ამწონი, გამზომი, საკონტროლო (შემოწმების), სამაშველო და სასწავლო ხელსაწყოები და ინსტრუმენტები; ელექტრობის გადაცემის, განაწილების, გარდაქმნის,

დაგროვების, რეგულირების ან მართვის ხელსაწყოები და ინსტრუმენტები; ინფორმაციის მაგნიტური მატარებლები, ხმის ჩამწერი დისკები; კომპაქტდისკები, დივიდი (DVD) და სხვა ციფრული ჩამწერი საშუალებები; მექანიზმები აპარატებისათვის წინასწარი გადახდით; სალაროს აპარატები, საანგარიშო მანქანები, ინფორმაციის დასამუშავებელი აღჭურვილობა, კომპიუტერები; კომპიუტერული პროგრამები; ცეცხლმქრობები; ოპტიკური აპარატურა და ინსტრუმენტები, სახელდობრ ოპტიკური ლინზები; ოპტიკური საქონელი; მიკრომეტრული ხრახნები ოპტიკური ინსტრუმენტებისთვის; ოპტიკური სათვალეები, სათვალეები, პენსნეები და მზის სათვალეები ასევე ჩარჩოები, ბუდეები, ნაწილები, კომპონენეტები და აქსესუარები; ოპტიკური ბოჭკო (შუქგამტარი ვარვარის ძაფები); ოპტიკური კონდენსატორები; ინფორმაციის ოპტიკური მატარებლები; ოპტიკური დისკები; საანგარიშო მანქანები, ინფორმაციის დასამუშავებელი აღჭურვილობა და კომპიუტერები კალკულატორების, ჯიბის ან ხელის (პორტატული) კალკულატორების ჩათვლით.“

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 16 მაისის №556/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი ,,BALMAIN”, მსგავსია მადრიდის შეთანხმების ოქმით კომპანიის „Bellman & Symfon Europe AB” სახელზე რეგისტრირებული და საქართველოზე გავრცელებული ნიშნისა „BELLMAN“ (რეგისტრაციისა და გავრცელების თარიღი 2007-02-13, რეგისტრაციის N 929929) მე-9 კლასის საქონლის მსგავსი ჩამონათვლისათვის. ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, დაპირისპირებული ნიშნები შესრულებულია ლათინური ანბანით და აქვთ აღრევამდე მსგავსი ჟღერადობა. მიუხედავად იმისა, რომ განცხადებული და დაპირისპირებული ნიშნების საქონლის ჩამონათვალში არის მცირედი განსხვავება, ის მიეკუთვნება ერთ კლასს და მათი გასაღების და მოხმარების ადგილი ერთი და იგივეა, რაც ქმნის მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის

შესაძლებლობას. აღნიშნულის გამო, „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, განცხადებულ სასაქონლო ნიშანს უარი ეთქვა რეგისტრაციაზე.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი კომპანია „პიერ ბალმენ ს.ა." (Pierre Balmain S.A.) არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, დაპირისპირებული და განცხადებული ნიშნების მსგავსების მიუხედავად, მათ შორის არსებობს იმ დონის განსხვავება, რომელიც საკმარისია იმისათვის, რომ არ მოხდეს სასაქონლო ნიშნების ერთმანეთში აღრევა მომხმარებლის მიერ. ნიშნები განსხვავებულია ფონეტიკურად, რადგან წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი ქართველი მომხმარებლის მიერ წარმოითქმის როგორც, „ბალ-მა-ინ", ხოლო დაპირისპირებული - „ბელ-მან". აპელანტის პოზიციით, ფონეტიკური თვალსაზრისით სასაქონლო ნიშნები საკმაოდ განსხვავებულად წარმოითქმის. განსხვავებულია პირველი მარცვლები "ბალ" და "ბელ" ასევე ნიშნების დაბოლოვებაც "მაინ" და "მან". გარდა ამისა, განსხვავებულია სასაქონლო ნიშნებში მარცვალთა რაოდენობა, რაც სასაქონლო ნიშნებს განსაკუთრებულ განსხვავებას სძენს და გამორიცხავს აღრევას, მათ შორის ასოცირების შედეგად. აპელანტის მითითებით, სასაქონლო ნიშნები განსხვავებულია ვიზუალური თვალსაზრისითაც. განცხადებული სასაქონლო ნიშანი ჩაწერილია ასომთავრული ლათინური შრიფტით სტილიზებულად, ხოლო დაპირისპირებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშანი კი - სტანდარტული ასომთავრული შრიფტით.

ნიშნების ვიზუალურ განსხვავებას ხაზს უსვამს დაპირისპირებულ ნიშანში ხმოვნების "E" და "I" არსებობა და ასევე, ორი თანხმოვანი - "LL",

რომლებიც არ არის განცხადებულ ნიშანში. სასაქონლო ნიშნების მიერ შექმნილი საერთო ვიზუალური შთაბეჭდილება სრულიად განსხვავებულია და შესაბამისად, გამორიცხავს ნიშნების აღრევას და მომხმარებელის შეცდომაში შეყვანას. აპელანტი მიიჩნევს, რომ შეუძლებელია მოხდეს განცხადებული სასაქონლო ნიშნის „BALMAIN“ ასოცირება ნიშანათან „BELLMAN“ მომხმარებლის მიერ. მითუმეტეს, რომ საქართველოს ბაზარზე იყიდება საათები სასაქონლო ნიშნით „BALMAIN“ და ქართველი მომხმარებლისათვის აღნიშნული ბრენდი ცნობილია, როგორც მაღალი ხარისხის პროდუქციის მწარმოებელი. კომპანია დაარსებულია „პიერ ბალმენის“ მიერ მე-20 საუკუნის 30-იან წლებში. აპელანტის მითითებით, განცხადებულ სასაქონლო ნიშანს სემანტიკური მნიშვნელობა არ აქვს და ის წარმოშობილია კომპანიის დამაარსებლის გვარიდან, მაშინ როდესაც სიტყვას „BELLMAN” აქვს მნიშვნელობა ქართულ ენაში და ითარგმნება, როგორც “მაცნე/შემტყობინებელი”. დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, სასაქონლო ნიშნების მსგავსება-განსხვავების განსაზღვრისას სასაქონლო ნიშნის სემანტიკური მნიშვნელობა ფაქტიურად გამორიცხავს მის აღრევას ფანტაზიური სახის სიტყვიერ სასაქონლო ნიშანთან. უფრო მეტიც, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მნიშვნელობა „BELL-MAN” - “ზარი-ადამიანი” პირდაპირ ასოცირდება მის მიერ განცხადებულ საქონელთან „სასიგნალო, შემტყობინებელ მოწყობილობებთან”. კომპანია „ Bellman & Symfon“ საკმაოდ ცნობილ კომპანიას წარმოადგენს და სპეციალიზდება სასიგნალო და სხვა ხმოვანი აპარატების წარმოებაში სმენისა და მხედველობის პრობლემების მქონე ადამიანებისათვის. აპელანტის პოზიციით, მიუხედავად ერთიდაიგივე მე-9 კლასისა, საქონელი საკმაოდ განსხვავებულია და შესაძლებელია მისი გამიჯვნა ისე, რომ არ მოხდეს მომხმარებლის მიერ აღრევა და მათი შეცდომაში შეყვანა. მე-9 კლასის საქონელი, რომლისთვისაც დაცულია დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი, სპეციფიკურ სფეროს განეკუთვნება: ეს არის სასიგნალო და ხმოვანი მოწყობილობები ადამიანებისათვის, რომლებსაც

სმენისა და მხედველობის პრობლემები აქვთ, ასევე სხვა ტიპის ხმოვანი აპარატები. აღნიშნული პროდუქციის მომხმარებელი არის ადამიანი, რომელსაც აქვს სმენის ან მხედველობის პრობლემა, ან სპეციალისტი, რომელიც მუშაობს სასიგნალო მოწყობილობებთან. უნდა აღინიშნოს ასევე, რომ ასეთი ტიპის პროდუქციის გაყიდვაც სპეციალიზებულ მაღაზიებში ხდება. აპელანტი თანახმაა, მისი საქონლის ჩამონათვლიდან ამოღებულ იქნას შემდეგი საქონელი: "სასიგნალო ხელსაწყოები და ინსტრუმენტები, ხმის ან გამოსახულების ჩამწერი, გადამცემი და აღმწარმოებელი აპარატურა; ოპტიკური ლამპები; ოპტიკური ფარნები; ნიშნების და სიმბოლოების წამკითხველი ოპტიკური მოწყობილობები". აპელანტის მითითებით, შეზღუდვის გათვალისწინებით განცხადებული სასაქონლო ნიშნის საქონელი, რომლისთვისაც მოითხოვება რეგისტრაცია, არ მოიცავს სასიგნალო და ხმოვან მოწყობილობებს. ამრიგად, ამ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების შედარების შედეგად ირკვევა, რომ ნიშნების ვიზუალური, ფონეტიკური, სემანტიკური განსხვავება, აგრეთვე საქონლის არაერთგვაროვნება იძლევა საშუალებას იმის მტკიცებისა, რომ მათი აღრევა არ მოხდება. შესაბამისად, არ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული, სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 16 მაისის სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ №556/03 ბრძანების ბათილად ცნობას და სასაქონლო ნიშნის „BALMAIN" (საიდ. №71864/03) დარეგისტრირებას მე-9 კლასის საქონლის შემდეგი ჩამონათვალის მიმართ: „სამეცნიერო, საზღვაო, გეოდეზიური, ფოტოგრაფიული, კინემატოგრაფიული, ოპტიკური, ამწონი, გამზომი, საკონტროლო (შემოწმების), სამაშველო და სასწავლო ხელსაწყოები და ინსტრუმენტები; ელექტრობის გადაცემის, განაწილების, გარდაქმნის, დაგროვების, რეგულირების ან მართვის ხელსაწყოები

და ინსტრუმენტები; ინფორმაციის მაგნიტური მატარებლები, ხმის ჩამწერი დისკები; კომპაქტდისკები, დივიდი (DVD) და სხვა ციფრული ჩამწერი საშუალებები; მექანიზმები აპარატებისათვის წინასწარი გადახდით; სალაროს აპარატები, საანგარიშო მანქანები, ინფორმაციის დასამუშავებელი აღჭურვილობა, კომპიუტერები; კომპიუტერული პროგრამები; ცეცხლმქრობები; ოპტიკური აპარატურა და ინსტრუმენტები, სახელდობრ ოპტიკური ლინზები; ოპტიკური საქონელი; მიკრომეტრული ხრახნები ოპტიკური ინსტრუმენტებისთვის; ოპტიკური სათვალეები, სათვალეები, პენსნეები და მზის სათვალეები ასევე ჩარჩოები, ბუდეები, ნაწილები, კომპონენტები და აქსესუარები; ოპტიკური ბოჭკო (შუქგამტარი ვარვარის ძაფები); ოპტიკური კონდენსატორები; ინფორმაციის ოპტიკური მატარებლები; ოპტიკური დისკები; საანგარიშო მანქანები, ინფორმაციის დასამუშავებელი აღჭურვილობა და კომპიუტერები კალკულატორების, ჯიბის ან ხელის (პორტატული) კალკულატორების ჩათვლით“.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგი გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა”. აპელანტი კომპანიის „პიერ ბალმაინ ს.ა.“ მიერ სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი „BALMAIN" და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „BELLMAN” ერთმანეთის მსავსია, როგორც ვიზუალურად, ისე ფონეტიკურად. კერძოდ, ორივე სასაქონლო ნიშანი შესრულებულია ასომთავრული ლათინური ანბანით და შედგება ერთნაირი თანხმოვანებისა და ხმოვანებისაგან - „B“, „L“, „M“

,,A“ ,, I“, ,,E“ და ,,N“, მსგავსია ასევე, დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებში მათი განლაგებაც. ამასთან, ორივე ნიშანი შედგება შვიდი ასოსგან.

კოლეგია ვერ გაიზიარებს აპელანტის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ დაპირისპირებულ ნიშნებში განსხვავებული ხმოვნების ,,E“ და ,,I“ და ასევე ორი თანხმოვნის ,,LL“ არსებობა, ხაზს უსვამს ნიშნებს შორის ვიზუალურ განსხვავებას, ვინაიდან, ვიზუალური შთაბეჭდილება, რომელსაც დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები ახდენენ მომხმარებელზე, არის უაღრესად მსგავსი. რაც შეეხება აპელანტის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ დაპირისპირებულ ნიშნებს შორის არის ფონეტიკური განსხვავება, სააპელაციო პალატის კოლეგია არ იზიარებს აპელანტის პოზიციას, ვინაიდან, განცხადებული სასაქონლო ნიშანი ქართულად გამოითქმის როგორც ,,ბალმენ“, ხოლო დაპირისპირებული ნიშანი, როგორც - ,,ბელმენ“. მიუხედავად ხმოვნებს შორის სხვაობისა, პირველ მარცვალში - ,,ბალ“ და ,,ბელ“, მეორე მარცვალში - ,,მენ“ და ,,მენ“, ორივე ნიშნის გამოთქმისას, ჟღერადობა იმდენად მსგავსია, რომ ჩნდება სასაქონლო ნიშნებს შორის აღრევის შესაძლებლობა.

მიუხედავად იმისა, რომ სასაქონლო ნიშანს „BELLMAN” გააჩნია სემანტიკური მნიშვნელობა, კერძოდ, იგი ინგლისური ენიდან ითარგმნება, როგორც: ,,მყვირალა“, „კურიერი“, ,,ადამიანი-მაცნე“, ქართველი მომხმარებლისთვის ნაკლებადაა ცნობილი აღნიშნული ნიშნის მნიშვნელობა, შესაბამისად, დაპირისპირებული ნიშნები ქართველი მომხმარებლის მიერ აღიქმება ფანტაზიურ სიტყვებად. რაც ქმნის ნიშნებს შორის ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობას.

კოლეგია ასევე, ვერ მიიღებს მხედველობაში აპელანტის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ სარეგისტრაციოდ წარმოდგენილმა სასაქონლო ნიშანმა - ,,BALMAIN", ხანგძლივი გამოყენების შედეგად, მოიპოვა განმასხვავებლობა იმ საქონლისათვის, რომლისთვისაც მოითხოვება სასაქონლო ნიშნის დაცვა და შესაბამისად არ გამოიწვევს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანას.

აღნიშნულის დასადასტურებლად აპელანტს არ წარმოუდგენია შესაბამისი მტკიცებულებები.

რაც შეეხება დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების საქონლის ჩამონათვალს, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი ,,BELLMAN" რეგისტრირებულია მე-9 კლასის შემდეგი საქონლისათვის: „აპარატურა და ხელსაწყოები სასიგნალო, საგანგაშო, გარდაქმნის, ჩაწერის, გადასაცემის, ხმის და გამოსახულების მისაღებად ან აღმწარმოებლად, ეს ყველაფერი სმენისათვის რათა აღიქვას სუსტი და შერეული ბგერები და სიგნალები; აპარატურა და ინსტრუმენტები ტაქტილური სასიგნალო, მისაღებად და გადასაცემად; ხმის გამაძლიერებლები; სასიგნალო მოწყობილობები სმენა დაქვეითებულ ადამიანებისთვის, ადამიანებისთვის რომელაც აქვთ სმენითი პრობლემა ან/და ადამიანებისთვის რომელთაც აქვს მხედველობითი პრობლემა; მნათი ან/და მექანიკური სიგნალები; მოსასმენი მოწყობილობები ტელევიზორისთვის, რადიოსთვის, კომპიუტერისთვის და ინტერნეტისთვის; რადიო, ინფრაწითელი და სადენიანი კომუნიკაციის მოწყობილობები გარდა ტელეფონისა, რომლებიც არ შეიცავენ ანტენებს ან ინვენტორებს; ყურსასმენები; ყურის აპარატები; ხმამაღალი ტელეფონის სიგნალები; მოციმციმე სატელეფონო სიგნალები; ტელეფონის გამაძლიერებლები; ყურსასმენის მონიტორინგის სისტემები; მიკროფონები; საგანგაშო სიგნალები; საგანგაშო ზარები; მოციმციმე შუქსასიგნალო აპარატები; ყურმილები; სმენის აპარატის ელემენტები; ზუმერები; ნაწილები და აქსესუარები ზემოაღნიშნული პროდუქციისთვის; ყურთსაცობები; ვიდეო წამკითხველები".

განცხადებული სასაქონლო ნიშნის საქონლის ჩამონათვალი კი მოიცავს შემდეგ საქონელს: ,,სამეცნიერო, საზღვაო, გეოდეზიური, ფოტოგრაფიული, კინემატოგრაფიული, ოპტიკური, ამწონი, გამზომი, სასიგნალო, საკონტროლო (შემოწმების), სამაშველო და სასწავლო ხელსაწყოები და ინსტრუმენტები; ელექტრობის გადაცემის, განაწილების, გარდაქმნის, დაგროვების, რეგულირების ან მართვის ხელსაწყოები და ინსტრუმენტები; ხმის ან გამოსახულების ჩამწერი, გადამცემი და აღმწარმოებელი აპარატურა; ინფორმაციის მაგნიტური

მატარებლები, ხმის ჩამწერი დისკები; კომპაქტდისკები, დივიდი (DVD) და სხვა ციფრული ჩამწერი საშუალებები; მექანიზმები აპარატებისათვის წინასწარი გადახდით; სალაროს აპარატები, საანგარიშო მანქანები, ინფორმაციის დასამუშავებელი აღჭურვილობა, კომპიუტერები; კომპიუტერული პროგრამები; ცეცხლმქრობები; ოპტიკური აპარატურა და ინსტრუმენტები, სახელდობრ ოპტიკური ლამპები; ოპტიკური ფარნები; ოპტიკური ლინზები; ოპტიკური საქონელი; მიკრომეტრული ხრახნები ოპტიკური ინსტრუმენტებისთვის; ოპტიკური სათვალეები, სათვალეები, პენსნეები და მზის სათვალეები ასევე ჩარჩოები, ბუდეები, ნაწილები, კომპონენეტები და აქსესუარები; ოპტიკური ბოჭკო (შუქგამტარი ვარვარის ძაფები); ოპტიკური კონდენსატორები; ნიშნების და სიმბოლოების წამკითხველი ოპტიკური მოწყობილობები; ინფორმაციის ოპტიკური მატარებლები; ოპტიკური დისკები; საანგარიშო მანქანები, ინფორმაციის დასამუშავებელი აღჭურვილობა და კომპიუტერები კალკულატორების, ჯიბის ან ხელის (პორტატული) კალკულატორების ჩათვლით“.

კოლეგია მიიჩნევს, რომ აპელანტის მიერ შემოთავაზებული სახით, საქონლის ჩამონათვლის, შეზღუდვის მიუხედავად (აპელანტი თანახმაა, საქონლის ჩამონათვალიდან ამოღებულ იქნას: სასიგნალო ხელსაწყოები და ინსტრუმენტები, ხმის ან გამოსახულების ჩამწერი, გადამცემი და აღმწარმოებელი აპარატურა; ოპტიკური ლამპები; ოპტიკური ფარნები; ნიშნების და სიმბოლოების წამკითხველი ოპტიკური მოწყობილობები”) გარკვეული საქონლის ჩამონათვლის მიმართ, მაინც იარსებებს ნიშნების აღრევისა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობა.

ამასთან, კოლეგიას მიაჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშნის „BALMAIN” (საიდ. №71864/03) მე-9 კლასის საქონლის შემდეგი შეზღუდული ჩამონათვალის მიმართ რეგისტრაციის შემთხვევაში: „სამეცნიერო, საზღვაო, გეოდეზიური, ფოტოგრაფიული, კინემატოგრაფიული, ოპტიკური, ამწონი, გამზომი, საკონტროლო (შემოწმების) სასწავლო ხელსაწყოები და ინსტრუმენტები;

ელექტრობის გადაცემის, განაწილების, გარდაქმნის, დაგროვების, რეგულირების ან მართვის ხელსაწყოები და ინსტრუმენტები; ინფორმაციის მაგნიტური მატარებლები; მექანიზმები აპარატებისათვის წინასწარი გადახდით; სალაროს აპარატები, საანგარიშო მანქანები, ინფორმაციის დასამუშავებელი აღჭურვილობა, კომპიუტერები; კომპიუტერული პროგრამები; ცეცხლმქრობები; ოპტიკური ლინზები; მიკრომეტრული ხრახნები ოპტიკური ინსტრუმენტებისთვის; ოპტიკური სათვალეები, სათვალეები, პენსნეები და მზის სათვალეები ასევე ჩარჩოები, ბუდეები, ნაწილები, კომპონენტები და აქსესუარები; ოპტიკური ბოჭკო (შუქგამტარი ვარვარის ძაფები); ოპტიკური კონდენსატორები; ინფორმაციის ოპტიკური მატარებლები; ოპტიკური დისკები; საანგარიშო მანქანები, ინფორმაციის დასამუშავებელი აღჭურვილობა და კომპიუტერები კალკულატორების, ჯიბის ან ხელის (პორტატული) კალკულატორების ჩათვლით“, აღარ იარსებებს ნიშნების აღრევისა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობა.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ” ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. „პიერ ბალმენ ს.ა.” (Pierre Balmain S.A.) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

2. ბათილად იქნეს ცნობილი ,,სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 16 მაისის №556/03 ბრძანება.

3. სასაქონლო ნიშანი „BALMAIN" (საიდ. №71864/03) დარეგისტრირდეს მე-9 კლასის საქონლის შემდეგი შეზღუდული ჩამონათვალის მიმართ: „სამეცნიერო, საზღვაო, გეოდეზიური, ფოტოგრაფიული, კინემატოგრაფიული, ოპტიკური, ამწონი, გამზომი, საკონტროლო (შემოწმების) სასწავლო ხელსაწყოები და ინსტრუმენტები; ელექტრობის გადაცემის, განაწილების, გარდაქმნის, დაგროვების, რეგულირების ან მართვის ხელსაწყოები და ინსტრუმენტები; ინფორმაციის მაგნიტური მატარებლები; მექანიზმები აპარატებისათვის წინასწარი გადახდით; სალაროს აპარატები, საანგარიშო მანქანები, ინფორმაციის დასამუშავებელი აღჭურვილობა, კომპიუტერები; კომპიუტერული პროგრამები; ცეცხლმქრობები; ოპტიკური ლინზები; მიკრომეტრული ხრახნები ოპტიკური ინსტრუმენტებისთვის; ოპტიკური სათვალეები, სათვალეები, პენსნეები და მზის სათვალეები ასევე ჩარჩოები, ბუდეები, ნაწილები, კომპონენტები და აქსესუარები; ოპტიკური ბოჭკო (შუქგამტარი ვარვარის ძაფები); ოპტიკური კონდენსატორები; ინფორმაციის ოპტიკური მატარებლები; ოპტიკური დისკები; საანგარიშო მანქანები, ინფორმაციის დასამუშავებელი აღჭურვილობა და კომპიუტერები კალკულატორების, ჯიბის ან ხელის (პორტატული) კალკულატორების ჩათვლით."

4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: მ. ფრუიძე

წევრები: ლ. კერესელიძე

ლ. ახობაძე